

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №315

2013 წლის 5 დეკემბერი

ქ. თბილისი

საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ნუსხის დამტკიცების შესახებ

„დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტისა და 49-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1

დამტკიცდეს საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ნუსხა (დანართი №1).

მუხლი 2

დამტკიცდეს იმ ქვეყნების ნუსხა, რომლებშიც აკრედიტებულია საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები (დანართი №2).

მუხლი 3

საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის (გარდა საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობისა და საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს წარმომადგენლობისა) ოფიციალურ სატიტულო ბლანკზე, ბეჭედზე, შტამპზე და აბრაზე აღინიშნება საქართველოს საელჩოს არასრული დასახელება – „საქართველოს საელჩო“ და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის განთავსების ქალაქი.

მუხლი 4

განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილებით საქართველოს საელჩოს ოფიციალურ სატიტულო ბლანკზე, ბეჭედზე, შტამპზე და აბრაზე აღინიშნება საქართველოს საელჩოს სრული დასახელება.

მუხლი 5

საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის/საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს წარმომადგენლობის ოფიციალურ სატიტულო ბლანკზე, ბეჭედზე და შტამპზე აღინიშნება საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის/საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს წარმომადგენლობის სრული დასახელება.

მუხლი 6

თუ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა წარმოადგენს როგორც საქართველოს საელჩოს, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობას/საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს წარმომადგენლობას, ადგილსამყოფელ ქვეყანასთან მიმოწერისას იყენებს საქართველოს საელჩოს ოფიციალურ სატიტულო ბლანკს, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობასთან/საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს წარმომადგენლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მიმოწერისას – საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის/საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს წარმომადგენლობის ოფიციალურ სატიტულო ბლანკს.

მუხლი 7

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

დანართი №1

საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ნუსხა

1. საქართველოს საელჩო ავსტრიის რესპუბლიკაში და საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასა და ქ. ვენაში განლაგებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში.
2. საქართველოს საელჩო აზერბაიჯანის რესპუბლიკაში.



3. საქართველოს საელჩო აშშ-ში.
4. საქართველოს საელჩო ბელარუსის რესპუბლიკაში.
5. საქართველოს საელჩო ბელგიის სამეფოში და საქართველოს წარმომადგენლობა ევროკავშირში.
6. საქართველოს საელჩო ბრაზილიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

[6. საქართველოს საელჩო ბრაზილიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და საქართველოს წარმომადგენლობა კარიბის ქვეყნების გაერთიანებაში. (ამოქმედდეს 2014 წლის 15 სექტემბრიდან)].

7. საქართველოს საელჩო ბულგარეთის რესპუბლიკაში.
8. საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან.
9. საქართველოს საელჩო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.
10. საქართველოს საელჩო დანიის სამეფოში.
11. საქართველოს საელჩო დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში და საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციაში.
12. საქართველოს საელჩო ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში.
13. საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა ევროპის საბჭოსთან.
14. საქართველოს საელჩო ესპანეთის სამეფოში.
15. საქართველოს საელჩო ესტონეთის რესპუბლიკაში.
16. საქართველოს საელჩო თურქეთის რესპუბლიკაში.
17. საქართველოს საელჩო თურქმენეთში.
18. საქართველოს საელჩო იაპონიაში.
19. საქართველოს საელჩო ინდოეთის რესპუბლიკაში.
20. საქართველოს საელჩო იორდანის ჰაშიმიტურ სამეფოში.
21. საქართველოს საელჩო ირანის ისლამურ რესპუბლიკაში.
22. საქართველოს საელჩო ისრაელის სახელმწიფოში.
23. საქართველოს საელჩო იტალიის რესპუბლიკაში და საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა ე. რომში განლაგებულ გაეროს საერთაშორისო ორგანიზაციებში (FAO, IFAD, WFP).
24. საქართველოს საელჩო კვიპროსის რესპუბლიკაში.
25. საქართველოს საელჩო ლატვიის რესპუბლიკაში.
26. საქართველოს საელჩო ლიტვის რესპუბლიკაში.
27. საქართველოს საელჩო მექსიკის შეერთებულ შტატებში.
28. საქართველოს წარმომადგენლობა ნატოსთან.
29. საქართველოს საელჩო ნიდერლანდების სამეფოში.
30. საქართველოს საელჩო პოლონეთის რესპუბლიკაში.
31. საქართველოს საელჩო პორტუგალიის რესპუბლიკაში.



32. საქართველოს საელჩო რუმინეთში.
33. საქართველოს საელჩო საბერძნეთის რესპუბლიკაში.
34. საქართველოს საელჩო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.
35. საქართველოს საელჩო საფრანგეთის რესპუბლიკაში და საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა იუნესკოში.
36. საქართველოს საელჩო სლოვაკეთის რესპუბლიკაში.
37. საქართველოს საელჩო სომხეთის რესპუბლიკაში.
38. (ამოღებულია - 26.12.2013, №374).
39. საქართველოს საელჩო უზბეკეთის რესპუბლიკაში.
40. საქართველოს საელჩო უკრაინაში და საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა სუამში.
41. საქართველოს საელჩო უნგრეთში.
42. საქართველოს საელჩო ქუვეითის სახელმწიფოში.
43. საქართველოს საელჩო ყაზახეთის რესპუბლიკაში.
44. საქართველოს საელჩო შვედეთის სამეფოში.
45. საქართველოს საელჩო შვეიცარიის კონფედერაციაში.
46. საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა ჟენევაში გაეროს განყოფილებებსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში.
47. საქართველოს საელჩო ჩეხეთის რესპუბლიკაში.
48. საქართველოს საელჩო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში.
49. საქართველოს საელჩო წმინდა საყდართან (ვატიკანში).
50. საქართველოს საელჩო კანადაში და საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციაში (ICAO).
51. საქართველოს საელჩო ირლანდიაში.
52. საქართველოს საელჩო სლოვენის რესპუბლიკაში.
53. საქართველოს საელჩო ფინეთის რესპუბლიკაში.
54. საქართველოს საელჩო კორეის რესპუბლიკაში.
55. საქართველოს საელჩო ავსტრალიის თანამეგობრობაში .
56. საქართველოს საელჩო არგენტინის რესპუბლიკაში .
57. საქართველოს საელჩო მოლდოვას რესპუბლიკაში.
58. საქართველოს საელჩო ნორვეგიის სამეფოში.
59. საქართველოს საელჩო ინდონეზიის რესპუბლიკაში.
60. საქართველოს საელჩო ეთიოპიის ფედერაციულ დემოკრატიულ რესპუბლიკაში.



61. საქართველოს საელჩო კატარის სახელმწიფოში.

62. საქართველოს საელჩო მალაიზიაში.

63. საქართველოს საელჩო საუდის არაბეთის სამეფოში.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 დეკემბრის დადგენილება №374 – ვებგვერდი, 27.12.2013წ.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის დადგენილება №130 – ვებგვერდი, 12.02.2014წ.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 აგვისტოს დადგენილება №503 – ვებგვერდი, 20.08.2014წ.

დანართი №2

იმ ქვეყნების ნუსხა, რომლებშიც აკრედიტებულია საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები

1. საქართველოს საელჩო ბელგიის სამეფოში აკრედიტებულია ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოში.
2. საქართველოს საელჩო ბრაზილიის ფედერაციულ რესპუბლიკაში აკრედიტებულია პერუს რესპუბლიკაში, სურინამის რესპუბლიკაში, კოლუმბიის რესპუბლიკასა და გაიანას კოოპერაციულ რესპუბლიკაში.
3. საქართველოს საელჩო დანიის სამეფოში აკრედიტებულია ისლანდიის რესპუბლიკაში.
4. საქართველოს საელჩო ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში აკრედიტებულია სირიის არაბთა რესპუბლიკაში, ტუნისის რესპუბლიკასა და ლიბიაში.
5. საქართველოს საელჩო ესპანეთის სამეფოში აკრედიტებულია ანდორის სამთავროში, ალჟირის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკასა და მაროკოს სამეფოში.
6. საქართველოს საელჩო თურქეთის რესპუბლიკაში აკრედიტებულია ალბანეთის რესპუბლიკაში, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში.
7. საქართველოს საელჩო თურქმენეთში აკრედიტებულია ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში.
8. საქართველოს საელჩო ინდოეთის რესპუბლიკაში აკრედიტებულია ტაილანდის სამეფოში, შრი-ლანკის დემოკრატიულ სოციალისტურ რესპუბლიკაში, ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკასა და ნეპალის ფედერაციულ დემოკრატიულ რესპუბლიკაში .
9. საქართველოს საელჩო იორდანის ჰაშიმიტურ სამეფოში აკრედიტებულია ერაყისა და ლიბანის რესპუბლიკებში.
10. საქართველოს საელჩო ირანის ისლამურ რესპუბლიკაში აკრედიტებულია პაკისტანის ისლამურ რესპუბლიკაში.
11. საქართველოს საელჩო იტალიის რესპუბლიკაში აკრედიტებულია სან-მარინოსა და მალტის რესპუბლიკებში.
12. საქართველოს საელჩო მექსიკის შეერთებულ შტატებში აკრედიტებულია კუბის რესპუბლიკაში, დომინიკის თანამეგობრობაში, დომინიკის რესპუბლიკაში, გვატემალის რესპუბლიკაში, ჰონდურასის რესპუბლიკაში, სენტ-ვინსენტსა და გრენადინებში, იამაიკაში, პანამისა და კოსტა-რიკის რესპუბლიკებში.
13. საქართველოს საელჩო საბერძნეთის რესპუბლიკაში აკრედიტებულია სერბეთის რესპუბლიკაში.
14. საქართველოს საელჩო საფრანგეთის რესპუბლიკაში აკრედიტებულია მონაკოს სამთავროში.
15. საქართველოს საელჩო უზბეკეთის რესპუბლიკაში აკრედიტებულია ტაჯიკეთის რესპუბლიკაში.
16. საქართველოს საელჩო უნგრეთში აკრედიტებულია ხორვატიის რესპუბლიკასა და მონტენეგროში.
17. საქართველოს საელჩო ქუვეითის სახელმწიფოში აკრედიტებულია ბაჰრეინის სამეფოში, ომანის სასულთნოსა და არაბთა გაერთიანებულ სამამროებში.
18. საქართველოს საელჩო ყაზახეთის რესპუბლიკაში აკრედიტებულია ყირგიზეთის რესპუბლიკაში.
19. საქართველოს საელჩო შვეიცარიის კონფედერაციაში აკრედიტებულია ლიხტენშტაინის სამთავროში.



20. საქართველოს საელჩო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში აკრედიტებულია ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკასა და მონღოლეთში.

21. საქართველოს საელჩო წმინდა საყდართან (ვატიკანში) აკრედიტებულია მალტის სამხედრო სუვერენულ ორდენში.

22. საქართველოს საელჩო არგენტინის რესპუბლიკაში აკრედიტებულია ჩილეს რესპუბლიკაში, პარაგვაის რესპუბლიკაში, ურუგვაის აღმოსავლურ რესპუბლიკაში, ეკვადორის რესპუბლიკასა და ბოლივიის მრავალეროვნულ სახელმწიფოში.

23. საქართველოს საელჩო აშშ-ში აკრედიტებულია ბაჰამის თანამეგობრობაში, ჰაიტის რესპუბლიკასა და გრენადაში.

24. საქართველოს საელჩო ავსტრალიის თანამეგობრობაში აკრედიტებულია ახალ ზელანდიაში, სამოას დამოუკიდებელ სახელმწიფოში, ფიჯის რესპუბლიკაში, სოლომონის კუნძულებზე, ვანუატუს რესპუბლიკასა და ტუვალუში.

25. საქართველოს საელჩო ეთიოპიის ფედერაციულ დემოკრატიულ რესპუბლიკაში აკრედიტებულია ჯიბუტის რესპუბლიკაში, სეიშელის რესპუბლიკაში, სომალის ფედერაციულ რესპუბლიკასა და კენიის რესპუბლიკაში.

26. საქართველოს საელჩო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში აკრედიტებულია მადაგასკარის, ზამბიის, მოზამბიკის, ზიმბაბვეს, ბოტსვანისა და მავრიკის რესპუბლიკებში.

27. საქართველოს საელჩო ინდონეზიის რესპუბლიკაში აკრედიტებულია სინგაპურის რესპუბლიკაში, ტიმორ ლესტეს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ფილიპინების რესპუბლიკაში.

28. საქართველოს საელჩო იაპონიაში აკრედიტებულია მარშალის კუნძულების რესპუბლიკაში.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის დადგენილება №130 – ვებგვერდი, 12.02.2014წ.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის დადგენილება №161 – ვებგვერდი, 18.02.2014წ.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 მარტის დადგენილება №209 – ვებგვერდი, 07.03.2014წ.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 მარტის დადგენილება №256 – ვებგვერდი, 26.03.2014წ.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივნისის დადგენილება №371 – ვებგვერდი, 11.06.2014წ.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 აგვისტოს დადგენილება №488 – ვებგვერდი, 12.08.2014წ.

